ევროკავშირის საბჭო. საბჭოს დასკვნები საქართველო/რუსეთის შესახებ. საგარეო ურთიერთობათა 2897-ე შეხვედრა.

ლუქსემბურგი, **2008 წლის 13 ოქტომბერი**

საბჭომ მიიღო შემდეგი დასკვნები:

"1. საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მიერ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ეგიდით, საქართველოში სამოქალაქო დამკვირვებლების მისიის, 200 დამკვირვებლის შემადგენლობით განთავსებსი შემდეგ, რუსეთის ჯარებმა დაიხიეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის, ევროკავშირის მედიატორობით, გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების თვალსაზრისით. ევროპული საბჭოს 1 სექტემბრის დასკვნებთან მიმართებით და 15 სექტემბრის საკუთარი დასკვნების შესაბამისად, საბჭო მოუწოდებს მხარეებს, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიისა და ეუთოს დამკვირვებლების ჩათვლით, განაგრძონ თავისი ვალდებულებების შესრულება. ის კმაყოფილებით აღნიშნავს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1839-ე რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მანდატის ვადა გაგრძელდა ოთხი თვით.

2. საბჭო იმეორებს ევროკავშირის მზადყოფნას მიიღოს აქტიური მონაწილეობა, სახელდობრ საქართველოს კრიზისზე სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით, საერთაშორისო განხილვებში, რომლებიც განსაზღვრულია 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებებით, რომლებიც უნდა დაიწყოს 15 ოქტომბერს ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს ეგიდით. ეს დისკუსიები უნდა ახდენდნენ ფოკუსირებას არსებულ პრობლემებზე, კონკრეტულად რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების შესახებ და გადაადგილებულ პირთა გადაუდებელი საკითხის თაობაზე, ზემო კოდორის ხეობისა და ახალგორის რეგიონის საკითხების ჩათვლით. ამ კონტექსტში, საბჭო კიდევ ერთხელ აცხადებს თავის მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. საბჭო ასევე ხაზს უსვამს გადაადგილებულ პირთა საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას.

3. საბჭო გამოხატავს მადლიერებას კომისიის მიმართ 22 ოქტომბერს ბრიუსელში მაღალი დონის დონორთა კონფერენციის მოწვევის გამო. კონფერენციის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს გადაადგილებულ პირთა დახმარება და საქართველოს ეკონომიკის აღდგენა. ევროკავშირი სერიოზულ წვლილს შეიტანს, გაერთიანებისა და წევრი ქვეყნების შენატანების მეშვეობით, მსოფლიო ბანკის, ევროკომისიასა და სხვა ინსტიტუტებთან ერთად, ჩატარებული შეფასების საფუძველზე. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთოებების გასამყარებლად, საბჭო ამზადებს საქართველოს მოლაპარაკებების დასაწყისს ახლო მომავალში სავიზო ხელშეწყობისა და გამარტივების თაობაზე და იწვევს კომისიას განგრძოს მოსამზადებელი სამუშაო ფართო და მასშტაბური თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელად, როგორც კი შეიქმნება სათანადო პირობები ამისათვის.

(www.europa.eu)